№ 153 25 ივლისი, კვირა. 1866—1882 25 ივლისი, კვირა. № 153.

რედაქცია

გალავნის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ[...] ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროებისა“ ფასი:

[...] წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
[...] თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე [...], ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებ[...] [...]ზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკან არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური

ნახევარ წლის ხელის-მოწერა.

ნახევარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 23 ივლისს. ბეჭდ[ვი]ს საქმეების გამგეობის უფროსი [თ]ავ. ვიაზემსკი სენატორად დაინიშნა.

სამხედრო გიმნაზიები ისევ კორპუსებად გადაკეთდებიან და გიმნაზიების კადეტები დაერქმევა.

[ს]უეცის არხი ინგლისის ჯარმა დაიჭირა.

## ჩვენებურს ურიებზედ

ქუთაისში, განსაკუთრებით სომხების და კათოლიკების ქუჩებში, პატარა ურიებს მოსვენებას არ აძლევენ [ქ]რისტიანის ბოვშები. როგორც კი [და]ინახვენ მიმავალ ურიის ყმაწვილს, [ე]რთი კივილით და კიჟინით უკან [და]ედევნებიან და ვაი მათი ბრალი, [თ]უ ვინმე მათგანი ხელში ჩაიგდეს. [ხ]შირად გვინახამს ურიის ბავშვი მწარედ ატირებული და გაცარცული ქრისტიანების ბალღებისაგან.

ამ ცარცვას და ცემა-ტყეპას დიდები რაღაც სიამოვნებით უცქერიან და ფანჯრებიდგან გადმოსცქერიან სიცილით, როგორც რაიმე დროს-გასატარებელს სანახავს.

—„დაჰკარ, ბიჭო, დაჰკარ“! ამ სიტყვებსაც გაიგონებთ ზოგიერთი ვაჭრისაგან, რომელიც ამ დროს შემთხვევით დაესწრება ბოვშების ალიაქოთს.

შეუძლებელია, რომ დიდი ურია გამოუსარჩლდეს პაწწინებს: თვალს არიდებს ამ გვარ შემთხვევას. პატარების შეტაკებიდამ შიშობს არ მოხდეს დიდების შეტაკებაც. მაგრამ ჩვენში ეს შემთხვევა შეუძლებელია, თუმცა კი გვინახამ ხშირად დიდები პატარებისაგან გატაცულნი მოქმედების სარბიელზედ.

ებრაელნი გაიფანტნენ დედა-მიწის ზურგზედ პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდგომ. ეა მოხდა რომის იმპერატორის ვესპასიანის დროს, როცა მისმა მემკვიდრემ ტიტემ დააქცია იერუსალიმის ქალაქი და ებრაელებს სატკაად მოეპყრო ურჩობისათვის. ებრაელების ამბოხების მიზეზი იყო წ[ყ]ეილი რომის უღელის მოშორებისა.

რომის იმპერიამ, რომელიც შეადგენდა თითქმის მთელ მაშინდელ ევროპას და აზიას, ეს სტუმრები მიიღო, როგორც მაშფოთარი ხალხი. პირველად ურიათ დაჩაგვრა წარმოსდგა ამ პოლიტიკური მიზეზის გამო. პოლიტიკურ გარემოებასაც მალე დაერთო სხვა მიზეზიც: ქრისტეს სარწმუნოება მოეფინა რომის იმპერიას. ურია, ჯერ ურჩი ქვეშევრდომი, შემდგომ ქრისტეს სისხლით შესვრილი, შეიქმნა საშინელი სიძულვილის საგანი ქრისტიანებისათვის. მათი დაჩაგვრა განძლიერდა; მოემატათ დევნულობა და ჩამოერთვათ ყოველივე კაცობრიული უფლება.

საშუალ საუკუნოებში ინკვიზიციისა და კათოლიკე სამღვდელოების წყალობით, ურიებს სწვავდნენ ცეცხლში. მათი ქონებაც და შეძლებაც საშიშს მდგომარეობაში იყო რაინდებისაგან და მთავრებისაგან. კანონი მათ სჩაგრავდა; დიდი და პატარა მათ სდევნიდა.

არც ახალ დროს გაუკეთებია ბევრი რამე ურიებისათვის. ეხლაც ვხედავთ მათ გაჭირებულ მდგომარეობას ზოგიერთს სახელმწიფოებში. ცარცვა და ტანჯვა დღემდინ არ ასცილებია თავიდამ ამ უბედურ ხალხს.

რა გასაკვირველია ამის შემდგომ, რომ, ამოდენი საუკუნოების ტანჯვის გამო, ურიები შეიქმნენ ქრისტიანების მტრებად და ზნეობითაც დაეცნენ. ჩვენ ცხად მტერობას მოჰყვა მათი ფარული მტრობა; ჩვენ ცხად ცარცვას—მათი ფარული ცარცვა...

საქართველოს ეწვიენ ურიები ბევრით უფრო ადრე, ვინემ რომის იმპერიას. როგორც მოგვითხრობენ ჩვენი მემატიანენი, ურიების მოსვლა საქართველოში მომხდარა მეექვსე საუკუნეში ქრისტეს მოსვლამდისინ, იმ დროს, როცა ნაბუხოდონოსორმა დაატყვევნა ურიანი. მრავალი მათგანი, რომ აეცილებიათ ეს ტყვეობა, მოეშურენ სომხეთს და საქართველოს.

ქართველებმა პატივით მიიღეს ეს უცხო ტომი. ებრაელები უშიშრად ცხოვრებდენ სატახტო ქალაქში მცხეთაში, როცა სხვა ქვეყნებში სრულიად აკრძალული ჰქონდათ სატახტო ქალაქებში ცხოვრება. იგინი აწარმოებდნენ ვაჭრობას. მეფეების ვაჭრებიც ურიები იყვნენ, სანამ სომხები არ გამოუჩნდნენ მეტოქეთ. ქართველებისაგან ურიებს არ ახსოვთ არა-ვითარი დაჩაგვრა, არც ტანჯვა და არც გაცარცვა.

ბავშვების ცემას მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ მაინც საჭიროა ყოველივე შემთხვევაში და პედაგოგიური მი-

---

## «დროების» ფელეტონი, 25 ივლისი

### ჩვენებური მეკენჭე

[ს]აწყალი აზნაური ვარ.
[კ]ენჭის ყრაზედ დამიბარეს;
[მ]ოველ, დარიგება მომცეს,
[ე]რთი კენჭიც ჩამაბარეს.

—

[მ]ითხრეს: „ძმობას კარგს გაგიწევთ
[თ]უ სისწორით ყველას იტყვი:
[შ]ენც კი ისე არ მოიქცე,
[რ]ოგორც ზოგი ერთი ბრიყვი!

—

[ა]ხომ ხედავ იმ უშნო გვამსა,
[ქ]ონელს და ძალიან დიდსა,
[მ]ოძმეთ მჩაგვრელს და ქვეყნის მტერს,
[მ]უხანათს და გულით ფლიდსა,—

—

[ა]მას შავი კენჭი მიართვი,
[გ]ავეიწიე ყველას ძმობა;
[ნ]უ გაცდინოს ოქრო-ვერცხლმა,
[შ]ენი სუყველაფრის თმობა“...

—

[მ]აგრამ ჩვენს ქართველობაში
[რ]ა გარიგდება ძმურათა?!
ჯერ ერთმანეთს ვუღალატებთ,
მერე გვაქვს სანანურათა!

—

თვით ჩემი დამრიგებელი
აგერ, ვხედავ, თეთრში აგდებს;
სინდისს და პატიოსნებას
შარ ჰყოფს და უკუ-აგდებს!..

—

მას ყველა მიჰყვა, არვინ სთქვა
არც ერთი სიტყვა—ლიტონი:
თურმე იმათ ამოქმედებს
მზაკვარ იუდას ლითონი!..

—

ვინც რომ მოძმეს უღალატოს,
წყობა დახშოს ურთიერთი,
ფუ! შეურცხვეს მას ულვაში
და რისხავდეს ზენა-ღმერთი!!

ც.

### დრამა ლინცში

(ნათარგმნი)

(დასასრული *)

12 ივნისს მარიამ დამენ და რენვილლისა წავიდნენ ვენიდგან ლინცში, სადაც ჩამოხტნენ სასტუმროში და ჩაეწერნენ ამ სახელებით: „მარია და ანნა ცენდერ“.

ორი დღე სცხოვრებდნენ ლინცში და ხშირად დადიოდნენ სასეირნოდ.

13 ივნისს, საღამოზედ, ამათ დაიქირეს ეკიპაჟი, რომელიც დაითხოვეს ქუდენგოვის სასახლესთან, ოტენგეიმში, ლინცის მოახლოვებით. ღამე, ღობეზედ გადიპარნენ ბაღში, სადაც მეორე დილაზედ მოსამსახურეებმა იპოვნეს ამათი გვამები... ესენი ერთმანეთის გვერდით იწვნენ. ორთავეს გულში ჰქონდათ მოხვედრილი ტყვია. რევოლვერებიც იქვე ეყარნენ. ისე რიგზე იწვნენ, რომ მოსამსახურებს პირველში მძინარენი ეგონათ. მარია დამენს ქვეშ შალი ეგო. თავის მოსაკლავად ამათ აერჩიათ საუკეთესო ალაგი ბაღისა, სწორედ გენრიხ ქუდენგოვეს საწოლის პირ-და-პირ ყვავილებსა და ვარდებ შუა. ჯიბეებში უპოვეს წერილები სიკვდილის მიზეზზედ. გრაფი გენრიხი იმ ღამეს თავის სასახლეში იყო.

მარია დამენის ანდერძში სწერია შემდეგი:

„ეს ჩემი უკანასკნელი სურვილია. მე ქვეყანაზედ არაფერს ვტოვებ გარდა ჩემი საყვარელი ბავშვისა და ამ ქვეყნის დატოვების დროს მე მხოლოდ ვიზრუნო ამ ბავშვისთვის. ვთხოვ დოქტორ ბერგგრუენს (ამის ადვოკატი) ჩემი სიკვდილის შემდეგ გახდეს ჩემი შვილის ოპეკუნად და ეცადოს, რომ ბავშვი, რომელსაც მე ვერა დავუტოვე-რა, არ დარჩეს ყოვლის უნუგეშოდ. მე ჩემს სიცოცხლეში არ შემეძლო მეთხოვნა რამე იმისათვის, რადგანაც ვგონებოდათ, რომ ვცდილობდი ჩემი პიროვნობისათვის. ახლა კი შემიძლიან ვუთხრა გრაფ გენრიხს ქუდენგოვეს:

„იყავ პატიოსანი და ნუ დაივიწყებ, რომ ბავშვი—ობოლია“.

„მე მსურს, რომ ფული, რომელსაც სასამართლო გადუწყვეტს, ასე იყოს განაწილებული: ჩემი შვილი უნდა გაიზარდოს საფრანგეთში; აღმზრდელს იცნობს ბ. სილასი (მეგობარი მკვდრისა). ის მიიღებს იმას, რასაც სასამართლო გადუწყვეტს. თუ ეს თანხა გადაემატება 70 ფრანკს

*) იხ. „დროება“, № 152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედულებითაც, რომ უფროსებისაგან აეკრძალოთ ბოვშებს ეს საქციელი. სიცილი და ღრეჭა რა საკადრისია იმ დროს, როცა ზნეობითი დატუქსვა ეჭირება ყმაწვილს!

მაგრამ თავის მხრით ურიებიც მოვალენი არიან, რომ მეგობრულად და კაცობრიულად იმოქმედონ იმ ხალხში, რომელშიაც რამდენიმე საუკუნოების გამომავლობაში ცხოვრობენ მშვიდობიანად და შეუძენიათ დიდი შეძლება. მთელი ქუთაისი თითქმის იმათ ხელშია. ქრისტიანების ოფლით ნაშოვნი ქვითკირის შენობები თითქმის მუქთად გადადიან მათ ხელში. წამოსჭიმეს სასახლეები. მოტყუება ქრისტიანის კაცისა მადლად მიაჩნიათ. გლეხის ჭირნახული ხომ მათი სარგებელია რამოდენიმე თუმანში...

ურიებს ჩვენში საფუძველი არა აქვსთ, რომ მტრებად გვიცქეროდნენ და ჩაგვთვალონ. მათი მოქმედება ჩვენში არა გზით არ გამართლდება. ეს ნიშნავს ნამდვილ ებრაულ ფანატიკოსობას და ზნეობითს სიმახინჯეს.

ალ. ბკოფოვი.

## დღიური

დიდის მწუხარებით ვაცხადებთ, რომ გუშინწინდელს ჩვენს გაზეთში მოყვანილი ამბავი—საქართველოს ეგზარხოსად იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დანიშვნის თაობაზედ—არ გამართლდა. როგორც გუშინდელის ტელეგრამმიდამ შეიტყობდით, ამ თანამდებობაზედ დაუნიშნავთ კიშინევის ეპისკოპოსი პავლე, რომლის ვინაობაზედ ჩვენ ჯერ-ჯერობით სრულიად არა ვიცით-რა...

* * *

იმ ათი დამნაშავის თაობაზედ, რომელთაც ფონ-ერტელის თავს-დაცემას აბრალებდნენ და რომელთაგან ხუთს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გარდაუწყვიტა, გაზ. „კავკაზს" გაუგონია, რომ ამ ხუთს კაცში მთავარ-მმართებელმა ორს აპატია ეს სასტიკი სასჯელიო, მხოლოდ სამს ჩამოახრჩობენო, სახელდობრ: ლალიევს (გამცემს, სომეხს), ახალაძესა და გაზაშვილს. დანარჩენებს სასჯელი შეუმსუბუქესო.

* * *

„მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი საქართველოს ეგზარხოსის მაღალ-ყოვლად-სამღვდელოს იოანნიკის სახელობაზედ, რომლითაც იმას ებოძება ძვირფასის ქვებით შემკობილი თეთრი კლობუკი ჯვრითა და მოსკოვის მიტროპოლიტად დაინიშნა.

* * *

იწვის ქვეყანა!—ამის თქმა ალეგორიულად კი არა, ნამდვილად შეიძლება ახლა. სადაც კი ტყეებია, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში—ყველგან ცეცხლი უკიდია და რამდენიმე ვერსის სივრცეზე საშინელი ალი ადის. ამ ცეცხლის კვამლი მთელს დასავლეთ საქართველოს მოსდებია თითქმის და ნისლით ჰბურავსო.

უეჭველია, ამ საზარელ ცეცხლს მიეწერება ის გაუწყვეტელი ქარი, რომელსაც ასე უჩივიან იმერეთში ამ ჟამად და რომელმანც, გოლვასთან ერთად, თითქმის სრულიად ბოლო მოუღო, ძირიანად გახმო ყოველ გვარი ჭირნახული იმერეთისა.

გაზ. „შრომა" საფუძვლიანად ურჩევს მთავრობას, რომ, რადგან წლევანდელი მოსავალი სულ დაიღუპა და შიმშილობას უნდა მოველოდეთ, ამის გამო კარგი იქნებაო, რომ ჩვენის მხრიდამ სამზღვარ გარეთ სიმინდის გატანა აიკრძალოსო.

* * *

გუშინ პარასკევს, თითქმის მთელს დღის განმავლობაში მზე გასაოცარის სიწითლით ანათებდა დედა-მიწას. მთელი ქალაქი გაკვირვებული იყო ამ მზის წითელ სხივებისაგან. გაოგნულ შუშებით შესჩერებოდნენ და ვერ გაეგოთ—თუ რას უნდა მიეწერებოდეს ეს მოვლენა.

ამბობენ, ეს მზის სიწითლე ტყეების წვას უნდა მიეწეროსო, დიდი კვამლი ადის ზედაც, ღრუბელსავით ამოეფარა მზეს და ფერი უცვალა დედა-მიწისაკენ მომავალს იმის სხივებსო.

* * *

სხვა თა შორის ამბობენ, რომ აჯამეთის დიდი ტყეც იწვის რამდენსამე ალაგსაო; პირველად იმ ნაწილში გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ბ. ონანოვს ეკუთვნისო. თუ აქაც გავრცელდა ცეცხლი და ეს შესანიშნავი ტყე იმსხვერპლა, თითქმის მთელი ორი მაზრა, ქუთაისის გუბერნიისა დაღუპულად ჩაითვლება, რადგან უამ-ტყეოდ გაძლება ამ მაზრების—ქუთაისისა და შორაპნის მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ.

* * *

გავლილ ოთხშაბათს ტფილისის სასამართლო უწყებაში მოსამსახურე პირნი გამოეცხადნენ რევიზორს სენატორს ბერს, რომელმანც უთხრა ამათ, რომ საკუთრად ის ჰკისრულობს სისხლის სამართლის საქმეების რევიზიასა და იმის ამხანაგი ობერ-პროკურორი პლატონოვი-კი სამოქალაქო და გამიჯვნის საქმეების რევიზიას.

სენატორი ბერი ამ ჟამად ქუთაისში წავიდა ამ გუბერნიის სასამართლოების სარევიზიოდ.

* * *

სურამის მცხოვრებთ თხოვნა მიუციათ მთავარ-მმართებლის თ. დონდუკოვ-კორსაკოვისათვის, რომ ეს დაბა მაზრის ქალაქად [illegible]ებულიო.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ გამოჩენილი ედისსონი, რომელიც ამას წინად ამერიკიდამ პეტერბურღში ჩავიდა, ამ შემოდგომაზე კავკასიაში აპირებს მოსვლასაო.

* * *

ზემო-ქართლიდამ გვაცნობებენ, რომ ქვენა ქარმა და უწვიმობამ დიდი ზარალი მისცა წლევანდელს მოსავალსაო: პური უდროოდ ჩააყვითლა, არ დააცალა დამწიფება და არც სიმინდს დააყარა ხეირიო. ვერც ისეთს ალაგას იხეირა მოსავალმა, სადაც სარწყავი ყანები იყოვო.

## ხცისის მონასტერი

საციციანოში, გვერდ-წითლების მამულში, სოფ. ხცისის თავში სამხრეთ-აღმოსავლეთით მაღალ ტყით მოცულ გორაზედ სდგას ერთი მშვენიერი და მოზდილი ოთხ-კუთხიანი და სამ-კარიანი ეკკლესია, რომელზედაც ბატონიშვილი ვახუშტი არარასა ამბობს თავის გეოგრაფიაში; გარდა ამ სიტყვებისა:

„წრომის დასავლით არს ხევი მინაბისა, მის დასავლით არს კრისის-ხევი; ამის დასავლით ხცისის ხევი, და არიან ხევნი ესენი ვენახოვანი ხილიანი*). ამ ჟამად ვენახოვანი და ხილიანი კი არა, ხცისში თითქმის არავის მოეპოვება ვენახი, გარდა ამ სოფლის მემკვიდრისა თ.თ. ქ. ც—შვილისა და ამასაც მხოლოდ ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც გაუშენებია.

*) იხილეთ ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 204.

---

თვეში, დანარჩენი შეინახოს ჩემი შვილისათვის. მე მსურს, რომ ჩემი შვილი ხუთ-ექვს წლამდინ აღიზარდოს ჩემ საყვარელ სამშობლოში. შემდეგ ვთხოვ ბ. სილას წაიყვანოს ვენაში და ყურადღება არ მოაკლოს იმის გაზრდას.

„ჩემი სურვილია, რომ იმან შეისწავლოს ერთნაირად კარგად ფრანცუზული, ინგლისური, ნემეცური და იტალიურიც. მუზიკა მხოლოდ მაშინ დაიწყოს, თუ ნიჭი გამოაჩნდება. ვიხვეწი და ვითხოვ, რომ ძალდაუტანებლივ აარჩევინონ, როგორი ხელობაც კი ისურვოს. მე მორწმუნე ფრანგი ვარ, მაგრამ არ მსურს, რომ ჩემი შვილი აღიზარდოს იეზუიტებში. უბედურად ჩავთვლიდი ჩემ თავს, რომ ჩემი შვილი, როგორც ზოგიერთი ეხლანდელი ყმაწვილები, ურწმუნო იყოს. იმ საშინელ წუთში, როდესაც ამ სტრიქონებსა ვწერ, მარტო ერთი ნუგეში-ღა მაქვს—სარწმუნოება მომავალ ცხოვრებისა! იმის აღზრდაში ყური უნდა ეგდოს ფიზიკურ ვარჯიშობასაც — ცხენოსნობას, იარაღის ხმარებას და სხვ. თუ მომეტებული სურვილი არ ექნება ჯარის სამსახურისა, იმსახუროს მარტო დაწესებული ვადა.

„რაც შეეხება გვარტომობას ჩემი შვილისას, თუმცა საფრანგეთი შეადგენს სამშობლოს ჩემი გულისას, მაგრამ ჩემ შვილს შეუძლიან აირჩიოს თავის მამის ქვეყანა.

„ვთხოვ გრაფ ზენრიხს აასრულოს ეს ჩემი უკანასკნელი სურვილი. თუ ის შემდეგის თავის ცხოვრებით და მოპყრობით ჩვენ შვილთან დაამტკიცებს, რომ სცდილობს იმის სიკეთისთვის, მაშინ მე მიპატიებია იმისთვის ყოველივე წმინდის გულით.

„ჩემ შვილს ნუ ეცოდინება, რომ მე თავი მოვიკალ; დეე უთხრან, რომ მე იმას შევწირე ჩემი სიცოცხლე, იმ წამშივე, როდესაც ის დაიბადა. თუ როგორმე შეიტყო ჩემი სიკვდილი, დაარწმუნონ, რომ ავად-მყოფობამ გამაბედვინა ამ გვარი თავხედობა. მე არ მინდა, რომ ბავშს სძულდეს თავისი მშობელი მამა.

„მგონია ყველაფერი, რაც კი შესაძლო იყო, მოვიქმედე ჩემი შვილის გასაბედნიერებლად და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემის სიკვდილით უფრო ბევრს შევძენ, მინამ სიცოცხლით..."

ამ დრამამ ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გამოწერილი ალაგებიდგან სჩანს, რომ გმირი ამ დრამისა, მარია დამენი, არ არის „უნამუსო დედა-კაცი", რომ იმაში სცემდა გული მხურვალედ შვილის მოყვარული დედა-კაცისა, რომ იმას ჰქონდა ცხოველი და გახსნილი გონება, და ზნეობით ბევრით მაღლა იდგა იმ არისტოკრატებზედ, რომელნიც ეხლა სცდილობენ ის დაამცირონ.

საზოგადოების აზრი ისე იყო აღშფოთებული ამ შემთხვევით, რომ გაზეთებში იბეჭდებოდა ქალების წერილები, შევაგროვოთ ფული და ძეგლი აუგოთ იმ უბედურს შიგ კუდენვოვის ბაღშიო და უწოდებდნენ იმათ: „წამებულებს შობლიური სიყვარულისა და ყოველგვარი დედაკაცური პატიოსნებისათვის". გაზეთების რედაქციებში გროვდება ფული ამ მიზნისათვის.

საზოგადოება ნაკლებ არ არის აღელვებული პოლიციის მოქმედებით, რომელიც დამენისგან თხოულობდა უკანონო ხელ-წერილს. ეს უფრო საზიზღარია იმითი, რომ ამტკიცებს—თუ რამოდენა ძალა აქვს არისტოკრატიას აქაურს (ვენის) ადმინისტრაციაზედ. ეჭვი არ არის იმაში, რომ ბავშის მამა გრაფი კუდენგოვე არ ყოფილიყო, პოლიცია არ ჩაიდენდა ამისთანა უსამართლობას.

ამაზე ნაკლებ არ აშფოთებს საზოგადოებას სასულიერო წოდება, რომლის მოთავეთაც ლინცში სდგას გამოჩენილი კლერიკალური არხიეპისკოპოსი რუდიგერი: იმას არ სურდა მიეცა უკანასკნელი პატივი მიცვალებულებისათვის: წესიერად დასაფლავების ნებას არ აძლევდა.

ბატონი გრაფი კუდენგოვე თავს მართლობს უწლოვანობით,—ტყუილად კი: თუ ნორჩობისას მოიქმედა ამ გვარი უპატიოსნება, რაღას უნდა მოველოდეთ იმისგან სრულ-წლოვანობის შემდეგ?!...

მე. გ—ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეულში რომ უწინ ვენახები ნ, ამას მოწმობენ ძველი საწნახ- მაგრამ ეს საწნახლები აწ ურ- ელზე ბუჩქნარებშია გახვეუ- ვენახების უქონელობა ამ ქამად წყაროს წყლის უქონლობას, მხოლოდ პატარა ხევი ჩა- ურების, რომლითაც ზაფხუ- სიმინდს და ყანებს ძლივ- ით ორწყავენ; წყლის დაშრობა ტყის მიზეზია.

ვრებელი არ არის, თუ არ დაუვიწყარის მარი ბროსეს ით ეს მშვენიერ გეგმაზედ ნა- ჩუქურთმებით მორთული, ქის ეკკლესია გამოცტოვე- ახუშტის თავის გეოგრაფიიდამ. ის სიგძე თვრამეტი არშინია; გული და სიგანე ცხრა არში- თავ გვერდებიდამ მიდგმული ერეფნები სიგძით თვრამეტივე და სიგანით ოთხ-ოთხ საჟენ- ი. ეს დერეფნები აშენების მიუდგამთ, როგორც ეტყობა, ც ეკკლესია, რადაც შემთხვე- ო, თავით ბოლომდის გამსკდა-

კარების მარჯვენა მხარეს ქვის- მოქანდაკებულია ირემი, რო- ც ველი შემოხვევია გარს; ამ გვერდები გამოქცეული აქვს, ს გამო მალე ჩამოიქცევა და ვებათან ის წარწერილიც, რო- ამ კარების მაღლა ფანჯრის ებზე და ძირს არის. ყოფილა თმებით მორთული ფანჯარა, ონგრეული; ფანჯრის მარჯვე- რდზე წარწერა, რომელიც მე ეხატე და შემდეგ გადმოვალე- მხედრულად აქაურს მღვდელს; მაც გადმოიღე ასე და ჩემს ხატულს უგზავნი რედაქციას ოწმებლად მხედრულთან.

ელითა ღვთისათა მე გლახაკმან ვიწყე შენობად წმიდისა ამის იისა საყოფელად წმინდისა ნა- მცემელისა სალოცველად ძლიე- ბაგრატ აბხაზთა და ქართველთა და კუროპალატისა და ძისა გიორგი უფლის წულისა და ჩვენისა დასახსრად, ცოდვილისა ჩემისათვის და მოსახსენებლად მშობელთა და მამათა ჩემთა- ქრონიკოსა: ს: ქ: ბ:

ეკკლესიის წინა და უკანა პირი ეური ჩუქურთმებით არის მორ- ა, განსაკუთრებით სხვა და სხვა ჯვრებით, ეკკლესიისა და დე- ების შუა თაღები ჩამოქცეუ- კედლების სიმაღლე ხუთი საჟე- ება. თაღამდის კანკლის აღაგ- ქართველი ცაცხვის და სხვა ხე- მოსული. პანკელი, როგორც ა, ქვისა ჰქონია რბილ მოწვანე ილი და მშვენიერი წნული ჩუ- მა; ამ ჩუქურთმების ნახატვები- ველმოვხატე ნიშნები და აგრეთვე ქეის ვუგზავნი.

ეკკლესია უგუმბათო ყოფილა და დახურული ჰტყელი ჩინურის კრამიტით, მარჯვენივ დერეფანში აღმოსავლეთისკენ აკლდამა ჩაქცეული, რომელშიაც არა არის-რა იმდენად შესანიშნავი.

ს. ხცისშივე ამ რამდენიმე წლის წინად ნიადვრის შემდეგ ერთი ძველი ზარი უპოვნიათ, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს აქაურს ძველ ნათლის-მცემლის ეკკლესიას. ამ ძველი ეკკლესიის მიხედვით ვგონებ ეს ზარი ყურადღების ღირსი უნდა იყვეს და დასაცველი როგორც ძველი განძი. ეხლა კი ისე უპატრონოდ გდია აქ ერთ პატარა ეკკლესიის გვერდზე, კეტზე წამოცმული, რომელსაც დარეკის დროს მღვდელი ცალ თავს აუწევს ხოლმე და დიაკვანი ქვას ურახუნებს.

გლეხი.

სჟოფ. ხცისი, 25 ივნისს.

---

**შენიშვნა რედაქციისა.** ამ წიგნთან-რედაქციას მოუვიდა ხცისის წმ. ნათლის-მცემლის ეკკლესიის წარწერა ხუცურის ასო-მთავრულით ნაწერი. რედაქციამ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ამ წარწერას პირველად ამისთვის, რომ ამ წარწერის პირი ისეა გადმოხატული, როგორც თვით წარწერა არის, მეორედ ამისთვის, რომ წარწერა მოიხსენებს საქართველოს ისტორიაში უბრწყინვალეს პირს.

არხეოლოგიაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარწერის პირს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი წარმოადგენს ნამდვილად წარწერის ფორმებს. ამ გვარად გადმოღებული წარწერა თავად უჩვენებს იმ დროს, რომელსაც ის ეკუთნის, თუნდა რომ ქორონიკონიც არა ჰქონდეს. ამ გვარად არის გადმოღებული ხცისის წარწერა. ჩვენ უჩვენეთ ეს წარწერა დ. ბაქრაძეს, დაჰხედა თუ არა ასოების ფორმებს, მაშინათვე სთქვა, რომ ეს ფორმები მეთერთმეტე საუკ. ეკუთვნისო. მართალი და წარწერის ქორონიკონმაც უჩვენა მეთერთმეტე საუკუნის დაწყება. ამისთვის სასურველია, რომ ყველა საქართველოს კუთხეში ყურადღება მივაქციოთ წარწერების ფორმებს და ყველა წარწერა გადმოიხატოს შეუცვლელად ისე რომ, ნამდვილს წარწერის ასოებს მიემზგავსებოდეს. რამდენიმე ღონის-ძიება არის პირების გადმოსაღებად მოგონილი ევროპაში უადვილესი არის შემდეგი: ასველებენ ქაღალდს; ეს ქაღალდი უნდა დააკრათ წარწერას და კარგად დაჰტკეპნოთ, ასე რომ ასოების ფორმები ცხოვლად ამოიტკეპნოს ანუ ჩაჯდეს, თუ წარწერა ჩათხრილია ქვაში ანუ მეტალში. როდესაც ქაღალდი შეშრა, მაშინ იმას აცლით, დაჰკეცავთ და შეინახავთ. სხვა არაფერი.

ხცისის წარწერა შეიცავს ცნობას: „სახელითა ღვთისათა მე გლახაკმან ანნა ვიწყე შენებად წმინდისა ამის ეკკლესიისა საყოფელსა წმინდისა ნათლის-მცემლისა სალოცველად—ადიდენ ღმერთმან—ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისა და უფლისა ჩვენისა დასახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთა. ქორონიკონი იყო სკბ.“

ქორონიკონი სკბ—222 უჩვენებს 1002 წელს, ანუ ბაგრატ მესამის დროს. ბაგრატ მესამე მეფობდა 980 წლიდამ 1014 წლამდე. ეს ის ბაგრატი არის, რომლის დროიდამაც იწყო საქართველოს გაცალკევებულ სამეფოების შეერთება. ეს ბაგრატი „ქართლის ცხოვრებაში“ იწოდება, როგორც ხცისის წარწერაც ამტკიცებს ამას, მეფედ აფხაზთა და ქართველთა. აგრეთვე იწოდება თვით შვილი ბაგრატ მესამისა გიორგი I. შემდეგ მეფეები იწოდებიან ბაგრატ VI-მდე მეფეებად ქართველთა და აფხაზთა. აფხაზეთად აქ იგულისხმება იმერეთი; სახელწოდება იმერეთი, ჯერ არ იყო და აფხაზეთი იმერეთს ამისთვის დაერქვა, რომ მეფეები, რომელთაც იმერეთზე თავისი მფლობელობა გაავრცელეს, ბაგრატ მესამემდე იხსნენ აფხაზეთში. აქედამ გადასახლდნენ ქუთაისში და თან გადიტანეს იმერეთზე თვით სახელ-წოდება აფხაზეთისა.

თუმცა ბაგრატ მესამე „ქართლის-ცხოვრებაში“ ისახელწოდება „ეკლესიების მაშენებლად“, მაგრამ აქამომდე იმისგან ანუ იმის დროს აშენებული ეკკლესიები მხოლოდ ორი ვიცოდით; ესე იგი, ბედია სამურზაყანოში და ქუთაისის დიდი მშვენიერი ტაძარი, რომელსაც თავის ნანგრევებითაც კი გაკვირვებაში მოჰყავს საქმის მცოდნე მოგზაური. მესამე ეკკლესია, ბაგრატ მესამის დროისა ახლა აღმოჩნდა. ეს არის ხცისის ნათლის-მცემლის საყდარი. საკვირველია, რომ ამ ეკკლესიას, ასე მშვენივრად შემკულს, როგორც კორრესპონდენტი გვარწმუნებს, არ იხსენიებს არც „ქართლის ცხოვრება“ არც ვახუშტი. მაგრამ, აქ გასაკვირველი არა არის. ჩვენ ვიცით, ათიოდე გასაოცარის ხელოვნების ეკკლესიები, ამ მოკლე ხანში აღმოჩენილი, რომელნიც არსად არ არიან მოხსენებულნი... იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, აქა-იქ გაბნეული, ამ საგანს თავის ყურადღებას მიაქცევს და შეერთებულის მეცადინეობით შემოჰკრებს წარწერებს, რომელნიც შეადგენენ უპირველესს ისტორიის შემამოწმებელს საბუთს და თვით ისტორიის მასალას.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო! როდესაც სადმე ბაასზედ დავსწრებივარ, ან გაზეთ ჟურნალი წამიკითხავს, ყოველგან ჩვენი მოწინავე სწავლული კაცების სურვილი არის: ჩვენის ქვეყნის განათლება, ნივთიერად და ზნეობითად წარმატება, გაჭირვებულს მდგომარეობაში მყოფის კაცის სამართლიანად დახმარება და ჩვენს მოსახდენად რომელიმე კანონების შეცვლა.

ღმერთმან კარგი დაგვმართოსთ, ყველა ეს კარგი და სასარგებლო იყოს, თუ კი ეს სურვილი ცარიელ სურვილად არ დარჩება.

წარსულს კვირაში აქაურს ოლქის სამსაჯულოშიდ მივედი დილით მეთერთმეტე საათზედ. იქ დამხვდნენ ათამდის მთხოვნელები, რომელთ რიცხვში მეც გავერიე; არ გამოსულა ხუთი მინუტი ჩემის მისვლის შემდეგ, დეჟურნმა მწერალმა გვაჩვენა ადგილი, სადაც უნდა დაგვეცადა ბ. ჩლენისთვის არზების მისართმევად. ვიცადეთ, ვიცადეთ და როგორც იქნა ნაშუადღევის მესამე საათზედ ჩამოგვართვეს არზები.

ჭეშმარიტად, ერთმა დედა-კაცის მდგომარეობამ გული ამიღულა და დადაც შემაწუხა; სულ ცრემლით ილევრებოდა საცოდავი; ვინ იცის რასთვის სტიროდა. იქნება ძუძუს-მწოველი ყმაწვილი დასტოვა შინ მძინარი, იმ იმედით, რომ მალე დაბრუნდებოდა და ისევ მძინარეს მიუსწრებდა, და, რადგან იმდენი დააგვიანდა, უთუოდ ბოვშის დამშევის ფიქრი სტანჯავდა საცოდავს; ან, იქნება სხვა შვილებისათვის საჭმელი არაფერი დაუტევებია, ან ვინმე მახლობელი მძიმე ავადმყოფი ეგულვებოდა, რომელსაც იქნება წყლის მშმელიც არავინ ჰყავდა... მაგრამ რას იქმოდა? წასვლა არ შეეძლო, რადგან საქმის ვადა თუ გადაუცილდებოდა, მაშინ ხომ სულ წყალ-წაღებული დარჩებოდა.??—ერთი ქართლელი მოხუცი კაცი დეჟურნ-მწერალს ეხვეწებოდა: „ყმაწვილო! შენს გაზდასა, მაახსენე ბატონს თორემ, თუ სალამოს ზინაზედ ვერ მივედ, სულ ერთიანად დავიღუპვი მისთანა საჭირო საქმე მაქვს.“

მართალია, ბ.ბ. მსაჯულებს მრავალი საქმე აქვსთ, მაგრამ არზის მიღება ხომ ხუთი-ათი მინუტის საქმეა.? როდესაც არ სცალიათ, სხდომას რომ გასწყვეტენ დრო-დროთი, მაშინ მაინც გამობრძანდეს ის დალოცვილი ბ. დეჟურნი ჩლენი და განათავისუფლოს მთხოვნელები.—ყველამ კარგად იცის, დროს დაკარგვა ხშირად რამდენ ზიანს აძლევს ადამიანს. ამისათვის კარგი იქნება, სუდიც და ადმინისტრაციაც უფრო მკაცრ ყურადღებას მიაქცევდნენ ამისთანა მცირე წესებსაც, და მთხოვნელებს, ცოტა იყოს მაინც, შეწუხებულის მდგომარეობისაგან მალე შველიდენ.

ყოფილა უკეთესი ახალი წესებიც რომ მოგვეცეს მმართებლობისაგან, მაშინაც უქმი იქნება ჩვენთვის, თუ კარგი ერთგულნი აღმასრულებელნი არ ეყოლება საქმეს და ჩვენის შეწუხებისა და დატანჯვისათვის მათ გული არ შესტკივათ.

მრავალი კარგის გაკეთება შეიძლება ქვეყნისათვის იმ კანონებითაც, რომელნიც ეხლა არსებობენ, თუ კი მოინდომებენ და ერთგულად შეასრულებენ თავიანთ წმინდა მოვალეობას და მარტო ფორმას არ ეთაყვანებიან...

ბარნაბა ღორთქიფანიძე.

ივლისს 20-ს ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალანსი

## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, 1 ივლისს 1882 წელსა.

### აქტივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში — — — | 15,409 | 46 | | |
| გირაოს ფურცლები გადამ. — — | 4,200 | | | |
| „ „ უვადოთ წარმოდგენილი ვალის გარდასახდელათ — — | 11,400 | „ | 31,009 | 46 |
| 2) მიმდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თფილისის განყოფილებაში — — — — | 34,100 | „ | | |
| ბ) კერძო ბანკებში — — | 1,185 | 61 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან — — | | | 35,285 | 61 |
| 3) შესატანი: | | | | |
| ა) საწევრო ფული თფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში — | — | — | 30 | „ |
| ბ) — — — | | | | |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და გარანტიის ქაღალდები შენახულნი სახელმწიფ. ბანკის თბილისის განყოფილებაში (101,200) — | 91,302 | 33 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები (8,000) | 9,199 | 04 | | |
| %% — — — — — | 698 | 90 | 101,200 | 27 |
| 5) გრძელ-ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე 54½ წლით — | 445,500 | „ | | |
| ბ) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წ. — | 377,200 | „ | | |
| გ) ქალაქის უძრავს ქონებაზე გირაოთ 27½ | 600,600 | „ | | |
| დ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოთ 18 წლით და 7 თვით — — — | 18,100 | „ | 1,441,400 | „ |
| 6) გრძელ ვადიანი სესხნი, რომელიც გაცემულია ბანკის 17 თებერვალის 1881 წ. წესდების ძალით და გირაოთ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წლით — | 373,600 | „ | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წლით | 1,575,700 | „ | 1,949,300 | „ |
| 7) სესხნი, რომელნიც დანიშნული იყო გასაცემათ: | | | | |
| ა) მიწა-წყლის გირაოზე 43½ წლით | | | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წლით | | | | |
| გ) „ „ „ „ 18 წლით და 7 თვით | | | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა ლგოტა (§ 13) | | | | |
| ა) გრძელ-ვადიან სესხზე — | 132,444 | 23 | | |
| ბ) მოკლე ვადიან სესხზე — — | 2,375 | 75 | 134,819 | 98 |
| 9) ვადა გასული შემოსატანი ფული — | — | — | 29,357 | 11 |
| 10) მოკლე ვადიანნი სესხნი — — | — | — | 113,075 | „ |
| 11) გირაოს ფურცლები, საკამისიოდ მიღებულნი (356,400) — — | — | — | 277,600 | „ |
| 12) დაბრუნებული ხარჯი — — | — | — | 3,025 | 38 |
| 13) კუპონები, ვადის გასვლამდის გადასახდელი | — | — | 1,632 | „ |
| 14) ხარჯი: | | | | |
| ა) ბანკის მოწყობისათვის — — | 5,091 | 94 | 18,522 | 06 |
| ბ) ბანკის გამგეობის შენახვა | 13,430 | 12 | | |
| ბალანსი | | | 4,136,256 | 87 |

### პასსივი.

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) გრძელ-ვადიანი სესხისათვის — — | 177,902 | 75 | | |
| ბ) მოკლე ვადიანი სესხისათვის — — | 121,962 | 07 | 299,864 | 82 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხი, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წ. წესდებით ძალით — — | 18,294 | 32 | — | |
| ბ) ურთი-ერთი შორის თანდებობით გაცემულ სესხზე — — — — | 7,815 | 63 | 26,109 | 93 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის — | 13,742 | | | |
| 4) „ „ რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაშია — — | 3,790 | 08 | 17,532 | 80 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა — — | — | — | 9,371 | 54 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლათ გამოცემულნი 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით: | | | | |
| 54½ წლით — — — | 445,500 | „ | | |
| 43½ „ — — — | 377,200 | „ | | |
| 27½ „ — — — | 600,600 | „ | | |
| 18½ და 7 თვით — — | 18,100 | „ | 1,441,400 | |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გიმოცემულნია ურთი-ერთი შორის თანდებობის გირაოთ მიღებულ უძრავთ ქონებათა: | | | | |
| 43½ წლით — — — | 373,600 | „ | | |
| 27½ „ — — — | 1,575,700 | „ | 1,949,300 | |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 8) გასაცემად დანიშნული გირაოს ფურცლები: | | | | |
| 43½ წლით | | | | |
| 27½ „ | | | | |
| 18 წ. და 7 თვით | | | | |
| 9) მოსასპობლად დანიშნული სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით — | 11,400 | „ | | |
| ბ) ნაღდი ფულით — — | 495 | 91 | 11,895 | 91 |
| 10) ტირაჟში გამოსულნი გირაოს ფურცლები ჯერ წარუდგენელნი გადასახდელათ — | — | — | 49,650 | „ |
| 11) გირაოს ფურცლების გადასახდელი კუპონები — — — — | — | — | 93,327 | 50 |
| 12) სარგებლის ფონდი — — — | — | — | 102,288 | 83 |
| 13) ვალის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| 54½ წლით — — — | 852 | 52 | | |
| 43½ „ — — — | 990 | 36 | | |
| 27½ „ — — — | 6,972 | 47 | | |
| 18 წ. „ და 7 თვით — — | 628 | 42 | 9,443 | 77 |
| 14) ვალის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თანდებობით: | | | | |
| 43½ წლით — — — | 1,316 | 07 | | |
| 27½ „ — — — | 13,282 | 17 | 14,598 | 24 |
| 18 „ და 7 თვით | | | | |
| 15) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდი ფულით — — — | 18,565 | 05 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით — — | 4,200 | „ | 22,765 | 05 |
| 16) კორრესპონდენტები — — — | — | — | 33,782 | 47 |
| 17) მსესხებელნი — — — — | — | — | 2,074 | 68 |
| 18 დათვასების დროს და სხვა დასახარჯავი ფონდი — — — — | 31,455 | 38 | | |
| 19 მოკლე ვადიანი სესხთა სარგებელი — | 3,203 | 96 | | |
| 20) ჯარიმის ანგარიში — — — | 5,063 | 01 | | |
| 21) სხვა და-სხვა სარგებელი — — | 13,128 | 96 | | |
| 22) ნაღდი მოგება — — — | — | — | 52,851 | 31 |
| ბალანსი | | | 4,136,256 | 87 |

თავმჯდომარე ბანკისა თ. ი. ჭავჭავაძე.

წევრნი: { თ. დ. ?ავალიშვილი.
თ. ა. ჩოლოყაშვილი.

ბუხგალტერი ქ. ხაჩატურიანი.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Іюля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხ